ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №09

„08“ 09 2023წ.

რექტორი, პროფესორი: _____ მარინა ფირცხალავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

დებულება

თბილისი _ 2023წ.

თავი I. შესავალი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი (შემდგომში უნივერსიტეტი) არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით არის ჩამოყალიბებული და ფუნქციონირებს კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. უნივერსიტეტი, სახელმწიფო კონტროლის პირობებში, დამოუკიდებლად ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას და მოქმედებს არსებული კანონმდებლობის, საკუთარი წესდებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია: საგანმანათლებლო სფეროში ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, სამეცნიერო საქმიანობისათვის ხელშეწყობა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მომზადება, ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო მომსახურების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის დებულება წარმოადგენს ძირითად აქტს, რომელიც განსაზღვრავს სწავლებისა და შრომის განაწესს უნივერსიტეტში. დებულების მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში ან შრომითი ურთიერთობა აქვს უნივერსიტეტთან.

მუხლი 2. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მისია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მისიაა გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციას, ორიენტირებულს სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებაზე მედიცინის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროში.

უნივერსიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს იმგვარი საგანმანათლებლო გარემოს შექმნით, სადაც კვლევა, კრიტიკული აზროვნება, გამოცდილების გაზიარება, ტოლერანტობა, უწყვეტი პროფესიული ზრდა, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა პრიორიტეტებია, რაც განაპირობებს თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

მუხლი 3. უნივერსიტეტის საქმიანობის საგანი

3.1. სტომატოლოგიის, მედიცინის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

3.2. სამედიცინო აპარატურის შემოტანა -რეალიზაცია;

3.3.პროფილური ლიტერატურის გამოცემა, სასწავლო ვიდეო ფილმებისა და თვალსაჩინოებების წარმოება და რეალიზაცია;

3.4. გაცვლითი გარიგებები საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან;

3.5. გამოფენა - გაყიდვების მოწყობა;

3.6. მოსახლეობისათვის სტომატოლოგიური დახმარების აღმოჩენა;

3.7. ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით;

3.8. საქმიანობის სახეებს, რომლებიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) უნივერსიტეტი ახორციელებს ლიცენზიის მიღების შემდეგ.

3.9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დააარსოს ფილიალები და წარმომადგენლობები თავისი მიზნების განსახორციელებლად.

თავი II. უნივერსიტეტის სტრუქტურა

მუხლი 4. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებია:

I. მმართველი სუბიექტები

1. რექტორი
2. აკადემიური საბჭო
3. რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ - სამეურნეო დარგში
4. რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
5. რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
6. რექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების დარგში
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

II. ფაკულტეტები

1. სტომატოლოგიის ფაკულტეტი
2. ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი
3. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი
4. მედიცინის ფაკულტეტი

III. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

IV. ბიბლიოთეკა

V. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

VI. საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური

VII. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური

VIII. სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური

IX. დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური

X. საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა

XI. საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკა

XII. საფინანსო სამსახური

XIII. კანცელარიის სამსახური

XIV. იურისტი

XV. დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური

XVI. ცენტრები

1. კომპიუტერული ცენტრი
2. საგამოცდო ცენტრი
3. სტუდენტთა სერვის ცენტრი

XVII. სამეცნიერო ფონდი

თავი III. უნივერსიტეტის მართვა

მუხლი 5. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოები

5.1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტები): პარტნიორთა კრება, რექტორი, აკადემიური საბჭო, რექტორის მოადგილეები ადმინისტრაციულ-სამეურნეო, სამეცნიერო, სასწავლო, საერთაშორისო ურთიერთობების დარგში და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

5.2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტები): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი.

მუხლი 6. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები.

6.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:
6.1.1. უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების, რექტორის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის.
6.1.2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას.
6.1.3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში.
6.1.4. თანასწორ მოწყობას განურჩევლად სტუდენტთა ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.
6.1.5. უნივერსიტეტში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.
6.2. უნივერსიტეტის წესდებითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

მუხლი 7. ადმინისტრაციული თანამდებობები, დამხმარე და მოწვეული პერსონალი.

7.1. უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, რექტორის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტების დეკანები, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი ბუღალტერი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის დირექტორი, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახურის უფროსი, საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმი, საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის დირექტორი.
7.2. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.
7.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ" გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დეკანთან ერთად უზრუნველყოფს მოწვეული პერსონალის მოძიებას და შერჩევას, კანდიდატის ვერ შერჩევის შემთხვევაში ცხადდება კონკურსი.
7.4. უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ინიშნებიან კონკურსის წესით. თავდაპირველად კანდიდატების შერჩევა ხდება უნივერსიტეტში არსებული ადამიანური რესურსების ფარგლებში, შესაბამისი სამსახურის რელევანტური კვალიფიკაციის (სამუშაო გამოცდილება ან განათლება), არსებულ თანამდებობაზე მუშაობით მიღწეული შედეგების და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ შიდა ადამიანური რესურსის ხარჯზე ვერ მოხდება ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნა, ცხადდება ღია კონკურსი. კონკურსანტთა გადარჩევა ხდება ორ ეტაპად: 1. ეტაპი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე; 2. ეტაპი - გასაუბრების საფუძველზე. კონკურსანტის თანამდებობაზე დანიშვნა ხდება რექტორის ბრძანებით კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.
7.5. ადმინისტრაციული თანამდებობის პირის არ ყოფნის შემთხვევაში, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი (სტრუქტურული იერარქიის გათვალისწინებით), ინიშნება დროებით მოვალეობის შემსრულებლად, რექტორის ბრძანებით.

მუხლი 8. რექტორი.

8.1. რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

8.2. რექტორი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან ერთად განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ამუშავებს სასწავლო და საწარმოო მიმართულების სტრატეგიულ გეგმებს, უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ზრუნავს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

8.3. რექტორი მოქმედებს საქართველოს კანონების "უმაღლესი განათლების შესახებ" და "მეწარმეთა შესახებ", უნივერსიტეტის წესდების და აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად, პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო, კომერციულ და სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე.

8.4. გამოსცემს უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებს და განკარგულებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

8.5. ახორციელებს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8.6. რექტორი თანამდებობაზე ინიშნება პარტნიორთა კრების მიერ/გადაწყვეტილებით. პარტნიორთა კრება დანიშვნისას განსაზღვრავს რექტორის უფლებამოსილების ვადას. რექტორი, წინამდებარე დებულების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირეულ საკითხებზე, პასუხისმგებელია უნივერსიტეტის კომერციული, სამეურნეო და შემოქმედებითი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე და ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოსა და პარტნიორთა კრების წინაშე.

რექტორის არ ყოფნის შემთხვევაში, რექტორის მოვალეობას ასრულებს რექტორის ერთ-ერთი მოადგილე, რექტორის გადაწყვეტილების/ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 9. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

9.1.უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვისათვის შექმნილია აკადემიური საბჭო, რომელიც არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულების შესაბამისად. საბჭოს შემადგენლობაში შედიან რექტორი, რექტორის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტების დეკანები, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, მთავარი ბუღალტერი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის დირექტორი, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახურის უფროსი, საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმი, სუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის დირექტორი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

აკადემიური საბჭოს წევრად, ერთჯერადად, შეიძლება მოწვეული იყვნენ როგორც საქართველოს, ისე უხცო ქვეყნის ცნობილი მეცნიერები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები.

9.2. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეა რექტორი.

9.3. აკადემიური საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან წევრთა 1/3-ის მოთხოვნით მოიწვიოს საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

9.4. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ორი მესამედი და გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა უმრავლესობით.

9.5. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება/ განცხადება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

9.6. აკადემიური საბჭო ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას.

9.7. აკადემიური საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, ამტკიცებს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესს.

9.8. აკადემიური საბჭო ამტკიცებს ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულებას, სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს, დირექტორს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სამეცნიერო კვლევების გეგმებს, ბიუჯეტის პროექტს, საგრანტო პროექტებს და საშტატო განრიგს.

9.9. აკადემიური საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფას ახორციელებს სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს მდივანი. იგი აკადემიური საბჭოს წარდგინებით ინიშნება აკადემიური საბჭოს მიერ სიითი შემადგენობის უმრავლესობით.

მუხლი 10. რექტორის მოადგილეები ადმინისტრაციულ-სამეურნეო, სამეცნიერო, სასწავლო, საერთაშორისო ურთიერთობების დარგში.

10.1. **რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში** ხელმძღვანელობს უნივერსიტეტს ადმინისტრაციული მმართველობითი, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში. იგი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. კურირებს საუნივერსიტეტო უძრავი-მოძრავი ქონების შესყიდვებს, ინფრასტრუქტურის მოწყობას და უსაფრთხოებას.

10.1.1. რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში:

ა) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

ბ) შეიმუშავებს უნივერსიტეტის სტრუქტურის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

გ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსთან ერთად ადგენს უნივერსიტეტის ერთიან საშტატო განრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

დ) საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში.

ე) ხელმძღვანელობს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმართვას;

ვ) ახორციელებს შენობა-ნაგებობების განათების, გათბობის, ლიფტების, საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის, სავენტილაციო, კავშირგაბმულობის, მიწისქვეშა კომუნიკაციების, უსაფრთხოების და სხვა სისტემების გამართული ფუნქციონირების კონტროლს;

ზ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საჭირო მატერიალური ფასეულობებით, ინვენტარით, მასალებით მომარაგებას, სასაწყობო მეურნეობაზე კონტროლის განხორციელებას;

თ)უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შენობა- ნაგებობების, ეზოს, მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობის, დასუფთავების, ნარგავების მოვლის კონტროლს;

ი)ამზადებს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი, ჩამოსაწერი ქონების შესახებ წინადადებებს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
კ) ახორციელებს კლინიკების მოძიებას საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საჭირო პრაქტიკული სწავლების დასაფარად.
ლ) ახორციელებს საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური და სარეაბილიტაციო კლინიკების ადმინისტრირებას და მონიტორინგს.

10.2. **რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში** ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის სამეცნიერო მიმართულებებს. მის მოვალეობაში შედის:
ა) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოძიება და პოპულარიზაცია სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებში.
ბ) თანამშრომელთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია და მართვა.
გ) ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის და სტუდენტთა ინფორმირება.
დ) უნივერსიტეტის პროფესორთა კვლევის შედეგებისა და ინოვაციური იდეების დაპატენტებისთვის ხელის შეწყობა.
ე) მაღალი საერთაშორისო რეიტინგის რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ორგანოს – ჟურნალის გამოცემა.
ვ) ყოველწლიური სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კონფერენციებისა და სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.
ზ) უნივერსიტეტში ჩატარებული კონფერენციების მასალების გამოქვეყნება.
თ) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის განსაკუთრებული ხელშეწყობა, მათი აქტიური ჩართვა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, სტუდენტური ნაშრომების სამეცნიერო დონის ამაღლება, საუკეთესო სამეცნიერო შრომების კრებულების გამოცემა.
ი) უნივერსიტეტის შიდა გრანტების კონკურსის დაგეგმვა და გამოცხადება. საკონკურსო კომისიების შერჩევა და აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად.
კ) უნივერსიტეტისათვის სამეცნიერო დანიშნულების წიგნადი და ციფრული რესურსის შესაძენად რეკომენდაციების მომზადება;
ლ) ადგილობრივ/საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა;
მ) საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრებთან და სამეცნიერო ფონდებთან ურთიერთობის დამყარება და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განსახორციელებლად.
ნ) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება, ანალიზი და ანგარიშის წარდგენა აკადემიური საბჭოსათვის.
ო) უახლესი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიების შექმნის ხელშეწყობა.
პ) ბიბლიოთეკის მონიტორინგი.

10.3. **რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში** ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვას, დაგეგმვას, ორგანიზაციასა და კონტროლს. მის მოვალეობაში შედის:
ა) სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზება, სწავლების ახალი მეთოდების და საშუალებების შემუშავება.
ბ) საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გეგმების თანმიმდევრული შესრულების მონიტორინგი.
გ) სასწავლო პროცესის თითოეული ეტაპის მიმდინარეობის მონიტორინგი, შეფასება, შედეგების გაანალიზება და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევა.
დ) აკადემიური კალენდრის შემუშავებაში მონაწილეობა.

ე) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის შეტანის და განახლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების მონიტორინგის განხორციელება.
ვ) მობილობის პროცესის ადმინისტრირება და მონიტორინგი.
ზ) სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის დაკომპლექტების და დატვირთვის რეგულირების საკითხების შემუშავებაში მონაწილეობა.
თ) მკაცრი აღრიცხვის ფორმების - დიპლომების შემუშავების, შენახვის და მათი აღრიცხვის მონიტორინგი კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ექსპერტიზა-უტილიზაციის მონიტორინგი.
ი) დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახურის, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის და საგამოცდო ცენტრის საქმიანობის მონიტორინგი.

10.4. **რექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების დარგში** ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის საქმიანობას საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. მის მოვალეობაში შედის:
ა) საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება, განვითარება და გაღრმავება.
ბ)საგანმანათლებლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისა და უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
გ) საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობა. გაცვლითი პროგრამების, ერთობლივი კვლევების და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების ინიცირება და ორგანიზება.
დ) საერთაშორისო პარტნიორების, კლინიკების მოძიება, ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობა, ერთობლივი პროექტების, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
ე) სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა და ადმინისტრირება.
ვ) საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობის მონიტორინგი.

10.5. რექტორის მოადგილეები ყოველი სემესტრის ბოლოს რექტორს წარუდგენენ საქმიანობის ანგარიშს.
10.6. რექტორის მოადგილეების თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
10.7. რექტორის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
10.8. რექტორის მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე.

მუხლი 11. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

11.1. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამ მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" თანახმად, უნივერსიტეტის წესდებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად.
11.2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

11.3. სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
11.4. სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
11.5. სამსახურის უფროსი ყოველი სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს.
11.6. სამსახურის უფროსი ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. ფაკულტეტი და ფაკულტეტის საბჭო.

12.1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია ფაკულტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, კლინიკა, ბიბლიოთეკა და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
12.2. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
12.3. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი.
12.4. ფაკულტეტმა უნდა შეუქმნას სტუდენტს საუკეთესო პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე.
12.5. ფაკულტეტის საბჭო ახორციელებს საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ" მინიჭებულ უფლებამოსილებას.
12.6. ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობასა და მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია დეკანი, რომელიც ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 13. ფაკულტეტის დეკანი.

13.1.ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი.
13.2. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
13.3. ფაკულტეტის დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
13.4. ფაკულტეტის დეკანი:
13.4.1. უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;
13.4.2. ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს.
13.4.3. შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას.
13.4.4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე.
13.4.5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს.
13.4.6. თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს.

13.4.7. ახორციელებს საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ", საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
13.4.8 ანგარიშვალდებულია სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

თავი IV. უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 14. პერსონალი. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

მუხლი 15. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

15.1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
15.2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
15.3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ;
15.4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში;
15.5. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.
15.6. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:
ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;
ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები და საშუალებები.
დ) განახორციელოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
15.7. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას უნივერსიტეტის წესდების და დებულების მოთხოვნები;
ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით/კონტრაქტით ნაკისრი მოვალეობები;
დ) სრულყოფილად განახორციელოს სტუდენტთა სწავლება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად.

მუხლი 16. აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი.

16.1.აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
16.2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
16.3. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.
16.4. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა მოახდინოს შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედთან აფილირების შესახებ წერილობითი შეთანხმება.

მუხლი 17. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები.

17.1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ექვსი წლის გამოცდილება. დამატებით პირობებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.
17.2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება. დამატებით პირობებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.
17.3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით;
17.4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.
17.5. დასაშვებია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის 17.1 – 17.4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

მუხლი 18. პროფესორის ატესტაცია.

18.1. პროფესორის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება პროფესორი, რომელიც პროფესორის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ პროფესორის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა. ატესტაცია ტარდება რექტორის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისიის/კომისიების მიერ.
18.2. ატესტაცია ტარდება ორ ეტაპად – განხორციელებული აკადემიური საქმიანობის შეფასება და გასაუბრება. პროფესორის აკადემიური საქმიანობის შეფასება ეფუძნება აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი საქმიანობისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შემცველ სამართლებლივ აქტს.
18.3. ატესტაციის შედეგად შესაბამისი კომისია თითოეულ პროფესორზე ადგენს დასკვნას და შუამდგომლობს აკადემიური საბჭოს წინაშე, პროფესორი დარჩეს თუ გათავისუფლდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან.
18.4. ატესტაციის ჩატარების ერთიან წესსა და პირობებს შეიმუშავებს რექტორი ფაკულტეტებთან შეთანხმებით.
18.5. ატესტაციის ჩატარების ერთიან წესსა და პირობებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

მუხლი 19. აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

19.1. აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ამ უსდ-ის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში:

- ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება აღნიშნულ უსდ-ს;

- აქტიურად არის ჩართული უსდ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევის და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

19.2. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კონკურსანტი წინასწარ აცხადებს თანხმობას უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ ხელშეკრულების დადებითა და შესაბამისი შეთანხმების ფორმის შევსებით კვლავ ადასტურებს მას.

19.3. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ, რომელიც ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს კვირაში.

19.4. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა ავტომატურად იწვევს კონტრაქტის შეწყვეტას.

19.5 უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წელიწადში ერთხელ დაუფინანსოს აფილირებულ პერსონალს:

- საერთაშორისო აკრედიტებულ კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის სტატუსით) და სტატიის გამოქვეყნება.
- სახელმძღვანელოს ბეჭდვა.

19.6 უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვარტალში ერთხელ უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში აფილირებული პერსონალის სტატიის უფასოდ განთავსებას.

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

20.1. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი და რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.

20.2. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, მონიტორინგის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

20.3. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო და სააკრედიტაციო მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე.

20.4. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის თაობაზე სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების თაობაზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე.

20.5.პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

20.6. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს სწავლების ერთი საფეხურის მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. გადაწყვეტილება გამონაკლისის შესახებ შეიძლება მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

თავი V. სტუდენტი

მუხლი 21. სტუდენტის უფლებები.

21.1.სტუდენტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" საფუძველზე და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ჩაირიცხება და სწავლობს უნივერსიტეტის პროგრამის გასავლელად.

21.2. სტუდენტს უფლება აქვს:

1. მიიღოს ხარისხიანი განათლება.
2. მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში.
3. უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით.
4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ.
5. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.
6. თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციაში.
7. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი.
8. პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება.
9.საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე სასწავლო წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების იმ დაწესებულებაში გადატანა.
10. აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა.
11. მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში.
12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები დადგენილია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 22. სტუდენტი ვალდებულია:

22.1. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, დებულება და შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსის და უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების მოთხოვნები.

22.2. დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა.

22.3. ზრუნავდეს უნივერსიტეტის კეთილდღეობასა და წარმატებაზე.

22.4. რეგულარულად დაესწროს მეცადინეობებს (ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს).

მუხლი 23. ფინანსური პასუხისმგებლობა.

23.1. სტუდენტი ვალდებულია:

ა) პირველი სასწავლო წლის საფასურის 50%-ი გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთ) დღეში, დანარჩენი სწავლის საფასურის გადახდა უზრუნველყოს მეორე სემესტრის დაწყებამდე;

ბ) შემდეგი სასწავლო წლიდან, ყოველი სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდა უზრუნველყოს 4 (ოთხ) ნაწილად:
-პირველი ნაწილის გადახდა უზრუნველყოს სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე;
-მეორე ნაწილის გადახდა უზრუნველყოს სასწავლო წლის 10 ნოემბრამდე;
-მესამე ნაწილის გადახდა უზრუნველყოს სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე;
-მეოთხე ნაწილის გადახდა უზრუნველყოს სასწავლო წლის 10 აპრილამდე.
გ) სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში გადაიხადოს სხვაობა სწავლის საფასურის დადგენილ ოდენობასა და მოპოვებულ სახელმწიფო დაფინანსებას შორის.
დ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, დამატებით სემესტრში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, გადაიხადოს სწავლის საფასური ასათვისებელი კრედიტების შესაბამისად. ერთი კრედიტის საფასურია: სწავლის საფასური გაყოფილი 60 კრედიტზე.
23.2. სტუდენტს, საკუთარი ინიციატივით სწავლის შეწყვეტის შემთხვევაში, არ უბრუნდება გადახდილი სწავლის საფასური;
23.3. სტუდენტს, ვინც სასწავლო წლის განმავლობაში ვერ აითვისა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები, შესაძლებლობა ეძლევა ხელახლა გაიაროს სასწავლო კურსი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვამდე და გადაიხადოს საფასური ასათვისებელი კრედიტების შესაბამისად.
23.4. გამონაკლის შემთხვევაში სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის გადავადების საკითხს განიხილავს დეკანი.

მუხლი 24. სტუდენტთა თვითმმართველობა.

24.1. უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.
24.2. ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა წარმოადგენს უნივერსიტეტის თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.
24.3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:
24.3.1. უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში.
24.3.2. ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას.
24.3.3. ირჩევს წარმომადგენელებს ფაკულტეტის საბჭოში.
24.3.4. უფლებამოსილია შეიმუშავოს წინადადებები ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის საბჭოს.
24.4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

მუხლი 25. სასწავლო განრიგი

25.1. უნივერსიტეტში სემესტრის ხანგრძლივობაა 21 კვირა, ერთი აკადემიური საათი - 50 წუთი.
25.2. სასწავლო მეცადინეობა ტარდება დამტკიცებული ცხრილის მიხედვით. მეცადინეობების ცხრილი დგება ერთი სემესტრისათვის და ხელმისაწვდომია სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.
25.3. სამუშაო კვირა ხუთდღიანია ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით. დადგენილია ორი დასვენების დღე კვირაში: შაბათი და კვირა, გარდა ბიბლიოთეკისა, რომელიც მუშაობს კვირაში 6 დღე, ორშაბათიდან - შაბათის ჩათვლით, ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან 21:00 საათამდე, შაბათს - 10:00 საათიდან - 16:00 საათამდე.

თავი VI. უმაღლესი განათლების საფეხურები

მუხლი 26. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები:

26.1.უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის და სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებს.

26.1.1. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

26.1.2. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე. აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52^1-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირებს, სპეციალობის და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

26.1.3. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 300 კრედიტს და მთავრდება დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

26.1.4. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 360 კრედიტს და მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირების, უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა, შესაბამის უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება ან ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა (არანაკლებ B1 დონისა).

საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

26.2. უნივერსიტეტში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. ერთი კრედიტის მოცულობა განისაზღვრება 25 საათის ოდენობით და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.
26. 3. სწავლის თითოეული საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.
26.4. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

მუხლი 27. რეზიდენტურა.

27.1. რეზიდენტურაში სწავლის უფლება აქვს დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სარეზიდენტო გამოცდის შედეგების საფუძველზე.

27.2. რეზიდენტურის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

მუხლი 28. დისტანციური სწავლება

28.1. დისტანციური სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.
28.2. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო ასინქრონული კომუნიკაცია – ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება.
28.3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისტანციური სწავლების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის შერჩევასა და გამართულად გამოყენებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ინტერაქტიულად წარმართვა.
28.4. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი შეიმუშავებს შერჩეული დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენების ინსტრუქციას/ვიდეოგზამკვლევს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალისთვის მის გაცნობას.
28.5. დისტანციური სწავლება ხორციელდება უნივერსიტეტში დამტკიცებული დისტანციური სწავლების წესის შესაბამისად.

თავი VII. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი, სამსახურები, კლინიკები, ცენტრები

მუხლი 29. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

29.1. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.

29.2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე და ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულებებით.

29.3. ინსტიტუტის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტი.

29.4. ინსტიტუტს უფლება აქვს ჰქონდეს ბეჭედი და ბლანკი.

29.5. ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები განსაზღვრულია ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულებით.

29.6. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ინსტიტუტის დირექტორი.

29.7.ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან (განყოფილებები, ლაბორატორიები) და ინსტიტუტის საქმიანობისათვის აუცილებელი დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

29.8.ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები და ინსტიტუტის დირექტორი.

29.9. სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარეს 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭო, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, რომელსაც უნდა ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

29.10. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და წარუდგენს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

29.11. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი და დირექტორის უფლებამოსილებები განისაზღვრება ინსტიტუტის დებულებით.

29.12. ინსტიტუტის პერსონალი

29.12.1.ინსტიტუტის პერსონალი შედგება დირექტორის, სწავლული მდივნის, სამეცნიერო პერსონალისა და დამხმარე პერსონალისაგან (უფროსი ლაბორანტი, ლაბორანტი, ინჟინერი და ა.შ.).

29.12.2.ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი შედგება შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირებისაგან:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

გ) მეცნიერი თანამშრომელი.

29.13. ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი:

29.13.1.სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

29.13.2.მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

29.13.3.უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

29.13.4.მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

29.13.5.სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების თარიღი და დამატებითი პირობები ქვეყნდება შესაბამისი საბუთების მიღებამდე 1 თვით ადრე.

29.13.6.სამეცნიერო თანამდებობის კონკურსის წესით დასაკავებლად დამატებით პირობებს შეიმუშავებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
29.14. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია: უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სამეცნიერო გრანტების ფარგლებში მიღებული შემოსავალი, სხვა შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ამ დებულებას.
29.15. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 30. საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური

30.1. საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.
30.2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა შიდა აქტებით.
30.3. სამსახურის ფუნქციაა დაამყაროს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა და პარტნიორული ურთიერთობები. დაეხმაროს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებაში. უზრუნველყოს უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორების ვიტიზების, ღონისძიებების, გეგმებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნებისმიერი ღონისძიების შესახებ უახლესი ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება.
30.4.სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
30.5. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
30.6. სამსახური საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტში დამტკიცებული საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების შესაბამისად.
30.7. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია საერთაშორისო ურთიერთობების დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 31. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

31.1 ადამიანური რესურსების მართვის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.
31.2. სამსახური საქმიანობას წარმართავს, საქართველოს საკანონმდებლო აქტების, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის შიდა აქტების შესაბამისად.
31.3. სამსახური საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ახორციელებს პერსონალის მართვის სისტემის დანერგვას და სრულყოფას, პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცედურების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღებას, უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე დამხმარე პერსონალზე მოთხოვნების განსაზღვრას.
31.4. სამსახურის პერსონალს წარმოადგენენ: სამსახურის უფროსი და სპეციალისტები.
31.5. სამსახურის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
31.6. სამსახურის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

31.7. სამსახური საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტში დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულების შესაბამისად.
31.8. სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 32. სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური

32.1. სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.
32.2. სამსახურის ფუნქციები განსაზღვრულია უნივერსიტეტში დამტკიცებული სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით.
32.3. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით: სპორტის, კულტურის, ტურიზმის, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების.
32.4. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
32.5. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
32.6. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.
32.7. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულების, უნივერსიტეტის სხვა შიდა აქტების შესაბამისად.

მუხლი 33. დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური

33.1. დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.
33.2. სამსახური საქმიანობას წარმართავს, საქართველოს საკანონმდებლო აქტების, უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის დებულებისა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
33.3. სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე ფართო საზოგადოების პროფესიული და პიროვნული განვითარების, ახალი პროფესიული უნარების შეძენის უწყვეტად ხელშეწყობას მთელი სიცოცხლის მანძილზე. დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (რეზიდენტურა) პროგრამების წარმართვას.
33.4. სამსახურის ფუნქციები განსაზღვრულია უნივერსიტეტში დამტკიცებული დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახურის დებულებით.
33.5. სამსახურის პერსონალს შეადგენს: სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე და სპეციალისტები.
33.6. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.
33.7. სამსახურის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
33.8. სამსახურის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 34. ბიბლიოთეკა.

34.1. ბიბლიოთეკა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახორციელებს უახლესი ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებელზე და ასრულებს საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურულ-საინფორმაციო ფუნქციებს.

34.2. ბიბლიოთეკა გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს სამამულო და საერთაშორისო ბეჭდური და ციფრული რესურსებით.

34.3. ბიბლიოთეკა საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტში დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად.

34.4. ბიბლიოთეკის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

34.5. ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.

34.6. ბიბლიოთეკის დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 35. კანცელარიის სამსახური

35.1.კანცელარიის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

35.2. სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს საკანონმდებლო აქტების, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის შიდა აქტების შესაბამისად.

35.3. კანცელარიის სამსახური უზრუნველყოფს საქმისწარმოების სამუშაოების ორგანიზაციას, კონტროლსა და რეალიზაციას.

35.4.კანცელარიის სამსახურის ამოცანაა ყველა იმ საკითხის და ინფორმაციის, რომელიც შეეხება უნივერსიტეტის საქმიანობის სამეურნეო-ფინანსურ, საკადრო და სხვა მიმართულებებს აღრიცხვა, რეგისტრაცია და დოკუმენტირება (გარდა ინფორმაციისა, რომელიც შეეხება სტუდენტთა აღრიცხვას, რეგისტრაციას და დოკუმენტ-ბრუნვის წარმოებას).

35.5. კანცელარიის სამსახური საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტში დამტკიცებული კანცელარიის სამსახურის დებულების შესაბამისად.

35.6. სამსახურის პერსონალს შეადგენს: სამსახურის უფროსი და სპეციალისტები.

35.7. სამსახურის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.

35.8. სამსახურის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

35.9. სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 36. იურისტი

36.1.იურისტი უზრუნველყოფს:

36.1.1. იურიდიული კონსულტაციების გაწევას, სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებას, დოკუმენტების სამართლებრივი ანალიზის ჩატარებას, შრომითი კონტრაქტებისა და სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების მომზადებასა და გაფორმებას.

36.1.2. უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას საგადასახადო, საბაჟო ორგანოებში, საკრედიტო დაწესებულებებში, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში, ყველა ინსტანციის სასამართლოში, ყველა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში.
36.1.3.საადვოკატო მომსახურებას სასამართლოს ყველა ინსტანციაში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სამეწარმეო, საგადასახადო, საბაჟო სამართლებრივ საკითხებზე.
36.2. იურისტი ახორციელებს კანონით განსაზღვრული ყველა სახის იურიდიულ მომსახურებას, რომელიც საჭიროა უნივერსიტეტის ინტერესების დასაცავად.
36.3. იურისტის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
36.4. იურისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
36.5. იურისტი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის მიმართ.

მუხლი 37. საფინანსო სამსახური.

37.1. საფინანსო სამსახური არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი საქმიანობაა:
37.1.1. საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება საქართველოში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის სრული დაცვით და მასზე კონტროლის განხორციელება.
37.1.2. უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტის შედგენა, კონტროლი მის შესრულებაზე და აუცილებლობის შემთხვევაში მასში სათანადო ცვლილებების შეტანა.
37.1.3. ანგარიშსწორება, როგორც სახელმწიფოსთან, ისე უნივერსიტეტის პერსონალთან, რაც გამოიხატება გადასახადების გადახდასა და ხელფასების გაცემაში.
37.1.4. კონტროლის დაწესება სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდის პროცესზე და ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის დეკანზე შემდგომი რეაგირებისათვის.
37.2. საფინანსო სამსახური საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტში დამტკიცებული საფინანსო სამსახურის დებულების შესაბამისად.
37.3. სამსახურის პერსონალს შეადგენს: მთავარი ბუღალტერი, სტომატოლოგიური კლინიკის ბუღალტერი, საბუღალტრო პროგრამის სპეციალისტი და შიდა აუდიტი.
37.4. სამსახურის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
37.5. სამსახურის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
37.6.სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 38. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური.

38.1. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს, რომლის ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტში სასწავლო, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით (საინფორმაციო სისტემები, ცალკეული პროგრამული ან აპარატურული უზრუნველყოფა, ისტ სერვისები და სხვა).
38.2. სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის ფორმირებას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას.

38.3. სამსახური საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტში დამტკიცებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური დებულების შესაბამისად.
38.4. სამსახურის პერსონალს შეადგენს: სამსახურის უფროსი და სპეციალისტები.
38.5. სამსახურის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
38.6. სამსახურის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
38.7. სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 39. საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა

39.1.უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა შექმნილია "უმაღლესი განათლების შესახებ", "საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონების, "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.
39.2. კლინიკა საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე და საუნივერსიტეტი სტომატოლოგიური კლინიკის დებულებებით.
39.3. კლინიკა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს. იგი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ფუნქციონირებს საგადასახადო ორგანოებში სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე.
39.4. კლინიკის ძირითადი მიზანია დიპლომამდელი (საბაზო) და დიპლომისშემდგომი (რეზიდენტურა) უწყვეტი პროფესიული მომზადება, პროგრამების განსახორციელებლად კლინიკური ბაზით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო-სტომატოლოგიური საქმიანობა.
39.5. კლინიკა საქმიანობას წარმართავს სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, დიფერენციული დიაგნოსტიკის, პრევენციისა და მკურნალობის, რენტგენოლოგიური და ლაბორატორიული მეთოდების, სასწავლო-მეთოდოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხრით.
39.6. კლინიკას ხელმძღვანელობს მთავარი ექიმი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
39.7. კლინიკის მთავარი ექიმი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.
39.8. კლინიკის ქონება წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას და კლინიკაზე გადაცემულია სარგებლობის უფლებით.
39.9. კლინიკის საქმიანობა მოწმდება არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.
39.10. კლინიკის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.

მუხლი 40. საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკა.

40.1. საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკა არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, წარმოადგენს ამბულატორიულ სარეაბილიტაციო ცენტრს, სადაც ტარდება სარეაბილიტაციო პროცედურების სრული სპექტრი.
40.2. კლინიკა საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე და საუნივერსიტეტი სარეაბილიტაციო კლინიკის დებულებებით.

40.3. კლინიკა ფინანსური სახსრებით სარგებლობას და განკარგვას ახორციელებს საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის დებულებით დადგენილი წესით.
40.4. კლინიკის მიზანს წარმოადგენს პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესაბამისი სარეაბილიტაციო სამედიცინო მომსახურების გაწევა. პაციენტების ძირითადი დაავადებების მკურნალობა და პრევენცია, ფუნქციური დარღვევების, გართულებების პრევენცია და მკურნალობა, ფუნქციური უნარისა და აქტივობების გაუმჯობესება, ტკივილის ზემოქმედებისა და სხვა შემზღუდავი სიმპტომების შემცირება, უკეთესი სპორტული ფორმის მიღწევა, აქტიური და სპორტული ფორმის დიდხანს შენარჩუნება და ა.შ
40.5. კლინიკა დებულებით განსაზღვრული მიზნის განხორციელებას ახდენს შემდეგი სახის სამედიცინო მომსახურების გაწევით: ექიმის კონსულტაცია, სამკურნალო ვარჯიში, მექანოთერაპია (სახსრის დამუშავება), ორთოპედიული დაზიანება და ოპერაციის შემდგომი მოვლა, ამპუტაციის შემდგომი რეაბილიტაცია, ინსულტის შემდგომი რეაბილიტაცია, თავის ტვინის ტრავმის შემდგომი რეაბილიტაცია, ზურგის ტვინის ტრავმის შემდგომი რეაბილიტაცია, ნევროლოგია (ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანების შემდგომი რეაბილიტაცია), მასაჟი, აპარატურული ფიზიოთერაპია (ელექტროთერაპია, ულტრაბგერითითერაპია, მაგნიტოთერაპია, კრიოთერაპია), ლიმფო დრენაჟი.
40.6. კლინიკის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს კლინიკის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
40.7. კლინიკის ქონება წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას, რომელსაც კლინიკა წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისათვის სარგებლობის უფლებით იყენებს.
40.8. კლინიკის ქონების განკარგვის საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში.
40.9. კლინიკის საქმიანობის კონტროლი ხორციელდება ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის მიერ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნიშნავს აუდიტორს.
40.10. კლინიკის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველია: ა) უნივერსიტეტის რეორგანიზაცია; ბ) უნივერსიტეტის ლიკვიდაცია; გ) რექტორის გადაწყვეტილება.

მუხლი 41. საგამოცდო ცენტრი

41.1. საგამოცდო ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
41.2. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრი მოქმედებს უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს დადგენილებების, რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების, წინამდებარე და ცენტრის დებულებების საფუძველზე.
41.3. ცენტრის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში ერთიანი შიდა საგამოცდო სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამჭვირვალე, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას, რითაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სწავლის ხარისხის ამაღლებას.
41.4. ცენტრის უფლებამოსილება, ამოცანები და გამოცდების ჩატარების წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტში დამტკიცებული საგამოცდო ცენტრის დებულებით.
41.5. ცენტრის პერსონალს შეადგენს: ხელმძღვანელი და სპეციალისტები.
41.6. ცენტრის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
41.7. ცენტრის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
41.8. ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 42. სტუდენტთა სერვის ცენტრი

42.1. სტუდენტთა სერვის ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
42.2. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს უნივერსიტეტის დებულების, აკადემიური საბჭოს დადგენილებების, რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების, წინამდებარე და ცენტრის დებულებების საფუძველზე.
42.3. ცენტრის ფუნქციაა მოთხოვნის შესაბამისად სტუდენტებს მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია სასწავლო პროცესის, სამეცნიერო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების, აგრეთვე დამატებითი აქტივობების (სპორტული, ხელოვნების), არსებული კონსულტაციებისა და დახმარებების შესახებ.
42.4. ცენტრის პერსონალს შეადგენს სპეციალისტები.
42.5. ცენტრის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
42.6. ცენტრის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
42.7. ცენტრის პერსონალი ანგარიშვალდებულია სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 43. დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური

43.1. დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
43.2. სამსახური ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე, ასრულებს მის მითითებებსა და დავალებებს.
43.3. სამსახურის მიზანია საკანონმდებლო რეგულაციების მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების დაცვა, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას. უნივერსიტეტის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
43.4.სამსახურის ფუნქციებია: შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა, საფრთხისა და რისკების შემცველი ფაქტორების იდენტიფიცირება და რისკების პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების და ქონების დაცვა, მათ შორის უსაფრთხოების კამერების მეშვეობით, კონტროლი სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვაზე, კონტროლი საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის, აგრეთვე უნივერსიტეტის შინაგანაწესის დაცვაზე.
43.5. სამსახურის პერსონალს შეადგენს: შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/სპეციალისტები.
43.6. სამსახურის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
43.7. სამსახურის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 44. შრომის ანაზღაურება და შვებულება.

44.1.შრომის ანაზღაურება (ხელფასი) გაიცემა თვეში ერთხელ.

44.2.დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღით.
44.3. დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება ეძლევა მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ.
44.4. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით არანაკლებ 15 კალენდარული დღით.
44.5. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს უნივერსიტეტი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

მუხლი 45. სამეცნიერო ფონდი

45.1. სამეცნიერო ფონდი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
45.2. სამეცნიერო ფონდი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
45.3. სამეცნიერო ფონდის საქმიანობის მიზნებია: უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, კვლევების დაფინანსების მოდელების განსაზღვრა, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების უზრუნველყოფა, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების გამოყენებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხილვა და მათი დაფინანსების/თანადაფინანსების უფრუნველყოფა, უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე/განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისადმი ხელშეწყობა.
45.4. სამეცნიერო ფონდს ხელმძღვანელობს საკოორდინაციო საბჭო, საბჭოს თავმჯდომარე წარმოადგენს ფონდს სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ დაწესებულებებში.

თავი VIII. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებას შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესატან საკითხებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რასაც შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. სტუდენტებს და თანამშრომლებს შეუძლიათ გაეცნონ დებულებას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე www.geomedi.edu.ge